აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრის
კახაბერ ჯაიანის განსხვავებული აზრი

2016 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ასევე 2016 წლის 30 ოქტომბერს გამართულ მეორე ტურის არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით ვაცხადებ, რომ მოხდა არჩევნების გაყალბება.

ამასთან დაკავშირებით დაიწერა საჩივრები და ასევე მტკიცებულებების სახით იქნა წარმოდგენილი ვიდეო ჩანაწერები. არც ერთი საჩივარი არ იქნა დაკმაყოფილებული. საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ არ მოხდა ისეთი საარჩევნო უბნების გადათვლაც კი სადაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველზე მეტი საარჩევნო ბიულეტენები აღმოჩნდა საარჩევნო ყუთში, რაც საარჩევნო კოდექსის გათვალისწინებით იწვევს უბნის ბათილობას ან გადათვლას მაინც.

რაც შეეხება ბათილ საარჩევნო ბიულეტენებს, 2016 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებში ბათილი ბიულეტენების რაოდენობა იყო 24 667, ხოლო 2016 წლის 30 ოქტომბერს გამართულ მეორე ტურის არჩევნებში დაფიქსირდა 4 114, რაც მეტყველებს იმას, რომ 8 ოქტომბრის არჩევნებზე მოხდა ხელოვნურად საარჩევნო სუბიექტებზე მიღებული ხმების ბათილობა.

შემაჯამებელ ოქმში გამოხატული უნდა იყოს ამომრჩევლის ზუსტი ნება, ამ შემთხვევაში მე ვერ ვხედავ ამომრჩევლის ზუსტი ნების გამოხატვას და ვაფიქსირებ ჩემს აზრს შემაჯამებელ ოქმთან დაკავშირებით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე არ ვეთანხმები შემაჯამებელ ოქმს.

/კახაბერ ჯაიანი/

17.11.2016